

შპს „რობერტ ბოში“

*მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისად მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობები	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობები	8
4. ძირითადი საშუალებები	9
5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9
6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10
8. საწესდებო კაპიტალი	10
9. ნასესხები სახსრები	10
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10
11. შემოსავალი	11
12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	11
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
14. დისტრიბუციის ხარჯები	11
15. სხვა საოპერაციო ხარჯები	12
16. ფინანსური ხარჯები	12
17. პირობითი ვალდებულებები	12
18. ფინანსური ინსტრუმენტები	13
19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რობერტ ბოშის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რობერტ ბოშის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხის პარაგრაფი

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება შემოწმდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2020 წლის 10 აპრილს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.



ანა კუსრაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 27 აპრილი

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(რიცხვები ლარშია მოცემული)

		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	141,997	76,465
სულ გრძელვადიანი აქტივები		141,997	76,465
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	3,662,455	3,275,063
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		49,029	67,993
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	1,256,470	878,037
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,191,692	710,036
სულ მიმდინარე აქტივები		6,159,646	4,931,129
სულ აქტივები		6,301,643	5,007,594
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	2,636,275	2,636,275
გაუნაწილებელი მოგება		1,159,895	1,340,249
სულ კაპიტალი		3,796,170	3,976,524
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	807,570	646,581
მიღებული ავანსები		583,857	74,720
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	1,023,207	208,877
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები		83,098	94,086
ვალდებულებების და ხარჯების სხვა რეზერვები		7,741	6,806
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,505,473	1,031,070
სულ ვალდებულებები		2,505,473	1,031,070
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,301,643	5,007,594

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 27 აპრილს:


დოქტორი ჰოფმან სტეფენ ტობიასი
გენერალური დირექტორი


ნინა ვასილევა
ფინანსური დირექტორი

შპს „რობერტ ბოში“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(რიცხვები ლარში მოცემული)

	შენიშვნები	2020	2019
შემოსავალი	11	17,403,153	16,845,588
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(14,875,343)	(12,865,248)
საერთო მოგება		2,527,810	3,980,340
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(991,706)	(1,104,689)
დისტრიბუციის ხარჯები	14	(698,448)	(772,533)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(944,494)	(956,757)
სხვა შემოსავალი		19,880	26,492
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება		(86,958)	1,172,853
ფინანსური ხარჯები	16	(93,396)	(129,604)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(180,354)	1,043,249
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის (ზარალი)/მოგება		(180,354)	1,043,249
სხვა სრული შემოსავალი		–	–
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(180,354)	1,043,249

შპს „რობერტ ბოში“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(რიცხვები ლარში მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარს	2,636,275	297,000	2,933,275
წლის სრული შემოსავალი	–	1,043,249	1,043,249
2019 წლის 31 დეკემბერს	2,636,275	1,340,249	3,976,524
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(180,354)	(180,354)
2020 წლის 31 დეკემბერს	2,636,275	1,159,895	3,796,170

შპს „რობერტ ბოში“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(რიცხვები ლარში მოცემული)

	შენიშვნები	2020	2019
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე <i>კორექტირებები არაფულად შემოსავალზე და ხარჯებზე:</i>		(180,354)	1,043,249
ცვეთის ხარჯი	4	40,763	35,260
შემოსულობა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		(11,724)	(4,739)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების დარიცხვა/შემობრუნება	15	161,456	(567)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეზერვი	15	21,627	19,045
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		104,209	42,922
საპროცენტო ხარჯი	16	36,482	27,585
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		172,459	1,162,755
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(409,019)	(451,863)
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(258,241)	709,639
ცვლილება მიღებულ ავანსებში		509,137	(59,202)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		476,391	(992,513)
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასების ცვლილება		(10,988)	(7,672)
ცვლილება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში		18,964	(37,688)
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილების შემდეგ		498,703	323,456
გადახდილი პროცენტი		(42,258)	(29,776)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		456,445	293,680
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(106,295)	(14,007)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		11,724	4,739
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(94,571)	(9,268)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი ნასესხები სახსრებიდან		702,300	–
ნასესხები სახსრების დაფარვა		(781,960)	(327,210)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(79,660)	(327,210)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		282,214	(42,798)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		199,442	38,344
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		710,036	714,490
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	7	1,191,692	710,036

5-13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია..

1. კომპანია და მისი საქმიანობები

შპს „რობერტ ბოში“ (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2011 წლის 12 ივლისს და მისი იურიდიული მისამართი მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შექმნილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა „Robert Bosch investment Nederland B.V.“, შუალედური მშობელი კომპანიაა „Robert Bosch GmbH“ და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Robert Bosch Stiftung GmbH Stuttgart“. სამეწარმეო საკუთრების ფუნქციებს ასრულებს კომპანია „Robert Bosch Stiftung GmbH Stuttgart“.

„Robert Bosch GmbH“-თან გაფორმებული დისტრიბუციის ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია ყიდულობს სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს, კერძოდ ელექტრო ინსტრუმენტებს და სათადარიგო ნაწილებს, კავკასიის რეგიონში გადაყიდვის მიზნით. კომპანიამ დაიწყო საქონლის რეალიზაცია, როგორც შემოსავლის წარმომქმნელი საქმიანობის მთავარი ხაზი 2015 წელს. საქმიანობის კიდევ ერთი ხაზია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის მომსახურების გაწევა, კომპანიასთან „Robert Bosch GmbH“ გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. მომსახურება მოიცავს: საკონსულტაციო, თარგმნის, სპეციფიკაციის, სერტიფიცირებული მხარდაჭერის, ბაზრის კვლევის, გაყიდვის შემდგომ და სხვა მხარდაჭერა მომსახურებებს „რობერტ ბოშის“ პროდუქტებისთვის, კავკასიის რეგიონში ბრენდის იმიჯის და მომხმარებელთა ლოიალობის გაუმჯობესების მიზნით.

კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილია: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის ქუჩა #61.

2020 წლის დასაწყისიდან ახალმა კორონავირუსმა (კოვიდ-19) დაიწყო სწრაფი გავრცელება მთელს მსოფლიოში, რამაც გამოიწვია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადება 2020 წლის მარტის თვეში. მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავა პრევენციული ღონისძიება კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუშალა ბევრ კომპანიას ფუნქციონირებაში და ამას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. რადგან სიტუაცია სწრაფად ვითარდება, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მრავალი კომპანიის ბიზნესზე სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, შეუზღუდავად, ისეთი გავლენა, როგორიც არის ბიზნეს ოპერაციების ნგრევა წარმოების შეფერხების ან ობიექტების დახურვის, მიწოდების ქსელის რღვევის, პერსონალის კარანტინის რეჟიმში გადაყვანის, შემცირებული მოთხოვნის და ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. კომპანიამ შესაძლოა განიცადოს კოვიდ-19 ძლიერი გავლენა, გლობალურ ეკონომიკაზე და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი ნეგატიური გავლენის გამო. კოვიდ-19-ის გავლენის მნიშვნელობა კომპანიის ოპერაციებზე დიდად არის დამოკიდებული პანდემიის ეფექტების ხანგრძლივობასა და გავრცელებაზე მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე.

კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და პანდემიის მომავალ განვითარებასთან და საქართველოს ეკონომიკაზე მის გავლენასთან დაკავშირებული მოლოდინები აისახა სავალუტო ბაზრის არასტაბილურობასა და სხვა ვალუტებთან მიმართებაში ქართული ლარის გაუფასურებაზე.

ხელმძღვანელობა ვერ იწინასწარმეტყველებს ყველა განვითარებას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად რა ეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექნება მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის ოპერაციების მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) საფუძველზე, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად საჭიროებს კონკრეტული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში. მსჯელობისა და კომპლექსურობის უფრო მაღალი ხარისხის მომცველი სფეროები, ან სფეროები, რომელშიც დამკვეთები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განხილულია მე-3 შენიშვნაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები გამოსახულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ეს საწარმო საქმიანობს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება შესაბამის სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის შედეგად წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც ნასესხებ სახსრებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს უკავშირდება წარდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი“. საკურსო სხვაობიდან მიღებული ყველა სხვა შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში „სხვა საოპერაციო ხარჯები“ ან „სხვა შემოსავალი“.

2020 წლის 31 დეკემბერს ძირითადი გაცვლითი კურსები, რომლებიც გამოიყენებოდა ვალუტის ნაშთების კონვერტაციისთვის, იყო ასეთი: 1 ევრო = 4.0233 ლარი (2019 წ.: 1 ევრო = 3.2095 ლარი); 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი (2019 წ.: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი). დღეისათვის ლარი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ თანხებს, მოთხოვნამდე ანაზრებს და სხვა მოკლევადიან მაღალ ლიკვიდურ ინვესტიციებს, თავდაპირველი სამი ან ნაკლებთვიანი დაფარვის ვადით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების ღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ (ე.წ. FIFO) მეთოდის საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი დგინდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს ვალდებულებების ამოღებას, დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხულია მისი პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. პირვანდელი ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შეიძლება აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რომ მან შეძლოს ხელმძღვანელობისთვის სასურველი ფორმით ფუნქციონირება.

კომპანია ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულებას ამატებს ამგვარი ერთეულის სათადარიგო ნაწილების ხარჯს, როდესაც ამ ხარჯს გასწევს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ სათადარიგო ნაწილი კომპანიას მომავალში დამატებით სარგებელს მოუტანს. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ყველა სხვა ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მათი გაწევა ხდება.

აქტივებზე ცვეთა ირიცხება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან აქტივების ღირებულების გადასანაწილებლად, სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ასეთია:

ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა
სატრანსპორტო საშუალებები

3-12 წელი
6 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადები და ამორტიზაციის მეთოდები განიხილება და, შესაბამის შემთხვევაში, კორექტირდება, თუ არსებობს ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილების მითითება.

აქტივის საბალანსო ღირებულება სასწრაფოდ ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას გადააჭარბებს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ამორტიზაციის და ცვეთის საგანს წარმოადგენენ, ფასდება ყოველ საანგარიშგებო თარიღში, იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა მათი გაუფასურების რაიმე მითითება. თუ არსებობს მითითება იმისა, რომ აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელსაც განეკუთვნება აქტივი) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე შემოწმდება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიანი ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი დონის მიხედვით, რომლისთვისაც არსებობს განცალკევებით იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, ყოველ საანგარიშგებო თარიღში გადაიხედება, გაუფასურების შესაძლო გაუქმების მიზნით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით და ის წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, აღირიცხება ფასდაკლებების, დაბრუნებების და დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება, ასევე სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება და დაკმაყოფილებულია კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის ყველა საქმიანობისთვის, ქვემოთ აღწერილი ფორმით. როდესაც ბარტერულ გარიგებაში მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულება საიმედოდ ვერ შეფასდება, ამონაგები საქონლის სამართლიანი ღირებულებით ფასდება.

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი ყიდვასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, ჩვეულებრივ, საქონლის მიწოდებისთანავე. თუ კომპანია განაცხადებს თანხმობას საქონელი კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე მიაწოდოს, ამონაგები აღიარდება საქონლის დანიშნულების წერტილზე მიწოდებისთანავე.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება პროპორციული დროის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან ფაქტობრივად ძალაშია შესული საანგარიშგებო თარიღისთვის. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მოგების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, 2017 წლის 1 იანვარს მოქმედი ცვლილებებით ყველა საწარმოსთვის, გარდა კონკრეტული ფინანსური ინსტიტუტებისა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შეცვლილი მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. წინა მოდელის მიხედვით, 15%-იანი საგადასახადო განაკვეთი ვრცელდებოდა კომპანიის დასაბეგრ მოგებაზე განურჩევლად იმისა, მას გაუნაწილებლის სტატუსი ჰქონდა თუ განაწილებულის.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ის კომპანიაზე ვრცელდება და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტიური, ისე პირობითი მოგების განაწილებას, მათ შორის შემდეგს:

- ▶ განაწილებული მოგება;
- ▶ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ▶ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და/ან ფულადი სახსრების გადაცემა; და
- ▶ საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

განაწილებული მოგების გადასახადი აღიარდება, როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები

და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის გამოითვლება, როგორც თანხა, რომლის მიღებასაც მოელიან საგადასახადო უწყებისგან ან მოელიან მისთვის გადახდას.

გადასახადი, რომელიც დაეკისრება სფეროებს, გარდა განაწილებული მოგებისა, ზემოთ აღწერილის მსგავსად, აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯის“ მუხლში.

შეცვლილი საგადასახადო კონცეფციის გამო, ტერმინი „აქტივების და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ კარგავს მნიშვნელობას, ხოლო გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები (ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად) აღარ მოქმედებს ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელის ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს საქონლის მომხმარებელთან მიწოდებისთანავე. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახადელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო უწყებები დღგ-ის გადახდას წმინდა საფუძველზე უშვებს. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო ნაშთებს ნეტო საფუძველზე წარადგენს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №407 ბრძანების საფუძველზე.

იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საიჯარო კრედიტორული დავალიანება აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე და ისინი შესულია მუხლში „სხვა საოპერაციო ხარჯები“.

ფინანსური ანგარიშგების ცვლილება გამოშვების შემდეგ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორის მიერ. კომპანიის პარტნიორს და ხელმძღვანელობას აქვთ უფლებამოსილება ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობები (გაგრძელება)

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს (IAS) 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. მსჯელობები გამოიყენება იმის განსაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

4. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება			
2019 წლის 1 იანვარი	77,816	184,600	262,416
შესყიდვები	31,274	–	31,274
გასვლები	(33,736)	(49,566)	(83,302)
2019 წლის 31 დეკემბერი	75,354	135,034	210,388
შესყიდვები	8,542	97,753	106,295
გასვლები	(3,093)	(66,139)	(69,232)
2020 წლის 31 დეკემბერი	80,803	166,648	247,451
აკუმულირებული ცვეთა 2019 წლის 1 იანვრისთვის	46,584	118,114	164,698
წლის დანარიცხი	12,756	22,504	35,260
გასვლები	(16,471)	(49,564)	(66,035)
2019 წლის 31 დეკემბერი	42,869	91,054	133,923
წლის დანარიცხი	13,416	27,347	40,763
გასვლები	(3,093)	(66,139)	(69,232)
2020 წლის 31 დეკემბერი	53,192	52,262	105,454
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის	32,485	43,980	76,465
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის	27,611	114,386	141,997

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გასაყიდად არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,849,300	3,411,246
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	94,228	123,263
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანარიცხები	(281,073)	(259,446)
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	3,662,455	3,275,063

გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულებამ 14,875,343 ლარი (2019 წ.: 12,865,248 ლარი) შეადგინა. კომპანიამ აღიარა სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეზერვის ხარჯი 21,627 ლარის ოდენობით (2019 წ.: 19,045 ლარი).

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მესამე მხარეებისგან მისაღები სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,893,832	1,284,566
სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	52,982	57,881
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის რეზერვი	(711,752)	(550,296)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	1,235,062	792,151
ავანსები	21,408	12,157
დაკავშირებული მხარეების მიმართ წინასწარი გადახდები (მე-19 შენიშვნა)	–	73,729
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,256,470	878,037

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს უპროცენტო მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში.

8. საწესდებო კაპიტალი

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „Robert Bosch Investment Nederland B.V.“ იყო 100%-იანი წილის მფლობელი. 2,636,275 ლარის ოდენობით საწესდებო კაპიტალი სრულად შეტანილია ნაღდი ფორმით.

9. ნასესხები სახსრები

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები სრულად უკავშირდება სესხებს უშუალო მშობელი კომპანიისგან „Robert Bosch Investment Nederland B.V.“ (მე-19 შენიშვნა).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი ნასესხები სახსრები წარმოადგენს 200,000 ევროს ოდენობით სესხს უშუალო მშობელი კომპანიისგან წლიური საპროცენტო განაკვეთით 3.1%, რომლის დაფარვის ვადაა 2021 წლის 18 ნოემბერი (2019 წლის 31 დეკემბერი: 200,000 ევროს ოდენობით სესხი უშუალო მშობელი კომპანიისგან, წლიური საპროცენტო განაკვეთით 3.5%, დაფარვის ვადა 2020 წლის 19 ნოემბერი).

ამ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი წარდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „ფინანსური ხარჯის“ მუხლში.

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მესამე პირების მიმართ	167,308	206,823
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	855,899	2,054
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,023,207	208,877

შპს „რობერტ ბოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი
(რიცხვები ლარში მოცემული)

11. შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	17,988,094	17,400,363
ფასდაკლებები და ბონუსები კლიენტებისთვის	(584,941)	(554,775)
სულ შემოსავალი	17,403,153	16,845,588

კომპანიამ საქონლის გაყიდვა აღრიცხა 2015 წლის დეკემბერში. „Robert Bosch GmbH“-თან გაფორმებული დისტრიბუციის ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია ახდენს ელექტრო ინსტრუმენტების და სათადარიგო ნაწილების იმპორტირებას საქართველოში, შემდგომში სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში რეალიზაციის მიზნით. საქონლის რეალიზაცია კომპანიის საქმიანობის შემოსავლის წარმომქმნელი მთავარი ხაზია.

შემოსავლის ოდენობა ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და აღირიცხება დამატებული ღირებულების, ფასდათმობების და ფასდაკლებების გამოკლებით.

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება	14,875,343	12,865,248
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14,875,343	12,865,248

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	339,659	356,214
პრემიები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	165,409	263,515
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული საკონსულტაციო მომსახურება (მე-19 შენიშვნა)	156,151	160,453
საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის მომსახურების ხარჯები	123,200	143,696
საქმიანობის განვითარების მომსახურება	116,422	96,504
მარკეტინგისთვის გამოყენებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები	50,114	44,698
იურიდიული მომსახურების ხარჯი	33,460	7,430
კომპიუტერის ხარჯები	5,138	26,052
საკანცელარიო და საოფისე საქონელი	2,153	3,260
ტრენინგები	–	2,867
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	991,706	1,104,689

14. დისტრიბუციის ხარჯები

	2020	2019
საბაჟო საბროკერო მომსახურებები	379,893	395,505
საქონლის ტრანსპორტირება	318,555	377,028
სულ დისტრიბუციის ხარჯები	698,448	772,533

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
საიჯარო ხარჯი	350,982	455,709
სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვის ცვლილება/(შემოტრუნება)	161,456	(567)
გაყიდვების რეკლამირება და მარკეტინგი	145,944	188,037
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი	57,226	–
სადაზღვევო ხარჯი	46,058	39,857
სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეზერვი (მე-5 შენიშვნა)	21,627	19,045
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა	20,095	5,383
ცვეთა	40,763	35,260
კომუნალური ხარჯები	10,658	11,160
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	9,950	11,814
სამივლინებო ხარჯები	7,729	81,404
კომუნიკაციის ხარჯები	4,922	13,411
საგარანტიო ხარჯები, წმინდა	1,188	24,163
სხვა ხარჯები	65,896	72,081
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	944,494	956,757

16. ფინანსური ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯი (19-ე შენიშვნა)	36,482	27,585
უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი წმინდა ზარალი	46,983	91,710
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიოები	9,931	10,309
სულ ფინანსური ხარჯები	93,396	129,604

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საურავების დაკისრების უფლება. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებაში, საგადასახადო წელი შესაძლოა ღია დარჩეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო მეტი მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან. კომპანია იჯარით იღებს ოფისის და საწყობს, ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. იჯარის ვადები ერთიდან სამ წლამდეა. საიჯარო ხელშეკრულებების უმრავლესობა განახლებადია, იჯარის პერიოდის გასვლის ბოლოსთვის მოქმედი საბაზრო განაკვეთით.

მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები გაუუქმებელი ჩვეულებრივი იჯარების ფარგლებში ერთი წლის ვადაში უნდა განხორციელდეს და შეადგენენ 13,612 ლარს და 11,914 ლარს, შესაბამისად, 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18. ფინანსური ინსტრუმენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები		
გაუფასურების გამოკლებით	2,475,783	1,570,180
სულ	2,475,783	1,570,180
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	1,913,875	949,544
სულ	1,913,875	949,544

ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული, რაც მეტწილად ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო ხდება.

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-6 შენიშვნა)		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	52,982	57,881
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-10 შენიშვნა)		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	855,899	2,054
დაკავშირებული მხარეების მიმართ წინასწარი გადახდები (6-ე შენიშვნა)		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	73,729
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები (მე-9 შენიშვნა)		
- შუალედური მშობელი კომპანია	807,570	646,581

დებიტორული დავალიანებები ხასიათით უზრუნველყოფილი არ არის და მათზე პროცენტი არ ირიცხება. დაკავშირებული მხარეების დებიტორულ დავალიანებებზე რეზერვები შექმნილი არ არის.

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის ერთეულები იყო შემდეგი:

	2020	2019
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვა		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	15,336,290	13,330,537
მომსახურებების ანაზღაურება		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	81,275	82,276
თანამშრომელთა ხარჯები (სოციალური უსაფრთხოების ხარჯი)		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	13,010	16,750
პროფესიონალური მომსახურებები (საკონსულტაციო მომსახურებები) (მე-13 შენიშვნა)		
- საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	156,151	160,453
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯი (მე-16 შენიშვნა)		
- შუალედური მშობელი კომპანია	36,482	27,585

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის კომერციულ დირექტორს. კომერციული დირექტორისთვის აღმასრულებელი მართვის პოზიციაზე სრულ განაკვეთზე გაწეული მომსახურებისთვის გადახდილი ანაზღაურება მოიცავს ძირითად ხელფასს, ფულად ბონუსებს და სხვა სარგებელს. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესულმა მთლიანმა ანაზღაურებამ 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგინა 152,475 ლარი (2019 წ.: 266,871 ლარი).